№. 119 7 ივნისი, შაბათი. 1866—1880 7 ივნისი, შაბათი. № 119.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

რედაქცია

[illegible] ერევნის მოედანზე, შუა-ბაზრის თავში მარცხნივ თ. ლუარსაბ [illegible] სახლში, № 2.

ხელის-მოწერა

მიიღება „დროებისა“ „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე ხელის-მომწერთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ „ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერია“ 2 მან.

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოებით [illegible]რულით ასოზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უფასოთ ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

## ტელეგრამმები

—

ბერლინი, 4 ივნისს. დღეს მოხდა აქ პირველი სხდომა კონფერენციაზე შეკრებილის ელჩებისა.

პეტერბურღი, 5 ივნისს. დღევანდელს „გოლოსში“ დაბეჭდილია წიგნის გამ-ჭრის ისაკოვის წერილი, რომელშიაც უჩვენებს ნამდვილს ადგილს, სადაც პუშკინს ჰქონდა დუელი.

პეტერბურღი, 5 ივნისს. დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე დღეს, საღამოს 7 საათზედ წაბრძანდა აქედამ თფილისში.

მოსკოვი, 5 ივნისს. დღეს, ნასადილევს 2 საათზედ აქაურს ქალაქის რჩევის ზალაში იყო სხდომა უმაღლესად დამტკიცებულის კომიტეტისა პუშკინის ძეგლის ასაგებელად. თავ-მჯდომარეობდა პრინცი პეტრე გიორგის ძე ოლდენბურგსკი. გამოცხადდნენ ყველა დეპუტაციები. ბევრი მოსალოცავი ტელეგრამმები წაიკითხეს რომელიც ამ დღესასწაულის გამომსვლის კომიტეტს რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქებიდამ და სამზღვარ გარეთიდამ; სხვათა შორის წაიკითხეს ტელეგრამმა თფილისის ქალაქის რჩევისა, რომელსაც გარდაუწყვეტია — დაარქვას პუშკინის ქუჩა იმ ქუჩას, სადაც თფილისში მყოფობის დროს ცხოვრებდა პუშკინი.

---

## წერა-კითხვის საზოგადოებისათვის

ტფილისი, 6 ივნისს.

ჩვენის გაზეთის დღევანდელს ნომერში დაბეჭდილია მკ. ბაბაშვილის წერილი, რომელიც ბევრის მხრით ღირსია იმ ჩვენ „საზოგადოების“ ყურადღებისა, რომლის სახელი ამ შენიშვნის თავშია მოყვანილი.

პატივცემული ავტორი სამართლიანად უსაყვედურებს ამ საზოგადოების მმართველობასა და იმის უკანასკნელ კრებას, რომ საქალებო შკოლების გახსნაზედ ერთი კაპეიკიც არ შეუწირავთ, ერთი სიტყვაც არ უთქვამთო, ყველანი მხოლოდ სავაჟო შკოლებზედ ფიქრობენ და ლაპარაკობენო. ავტორის აზრით, ამ ჟამად ქალების განათლებას უფრო მომეტებული მნიშვნელობა აქვს, ვინემ ვაჟებისას რადგან პირველი მასწავლებელი თავის შვილებისა არის დედა და ყოველი დედა, თუ კი თვითონ იცის წერა-კითხვა, უეჭველია, თავის შვილებსაც ასწავლის.

ამისგამო ავტორი აცხადებს სურვილს, რომ ბათუმისა, თფილისის და საზოგადოთ ყველა შკოლების გახსნის დროს მიიღონ ეს გარემოება მხედველობაში და, როგორც სხვა ქვეყნებშია, ისე ჩვენშიაც საქალ-ვაჟო (შერეული) შკოლები გახსნან, ე. ი. ესეთი შკოლები სადაც ქალები და ვაჟები ერთად ისწავლიან.

არ შეიძლება არ დაეთანხმოს კაცი ამ მსჯელობას.

მართლაც, ჩვენში ძველადგანვე სწავლა-განათლების საქმე თითქმის ქალების ხელში ყოფილა; პირველი გამავრცელებელნი წერა - კითხვისა ქალები ყოფილან: ყველას ახსოვს ის დრო, როდესაც სოფლებში და ქალაქებშიაც ზოგიერთ დარბაისელ დედაკაცებს სასწავლებელი პატარა პანსიონივით ქონდათ გამართული და თითოეული ამათგანი ათს, ოცს და ხან მეტს შაგირდებს იბარებდნენ (ქალსა და ვაჟს) და ქართულ წერა-კითხვას და საღმთო წერილს ასწავლიდნენ.

სულ ძველად, ჩვენს ისტორიულ ცხოვრებაში, როდესაც კაცები — მამები, ქმრები და ძმები მუდამ ომში, ლაშკარში იყვნენ მტრის მოსაგერებლად და სამშობლოს დასაცველად, ჩვენი წერა-კითხვისა და მწიგნობრობის საქმე ქალების მოღვაწეობით მიდიოდა და იმ დროს ჩვენში ქართული წერა-კითხვა ერთი-ორად უფრო ყოფილა გავრცელებული, ვინემ ახლა არის.

ამ ნაირად, წერა-კითხვის გავრცელების საქმეში ქალებს ისტორიულად ჰქონიათ მნიშვნელობა და რიგია, რომ ზემო-ხსენებულ საზოგადოებამ ეს მნიშვნელობა მუდამ მხედველობაში იქონიოს, ისარგებლოს ქალების სწავლის ხალისით და იმ ნიჭით რომელიც ამათ აქვთ სწავლებაში, წერა-კითხვის ცოდნის გადაცემაში.

წერა-კითხვის მცოდნე კაცი თითქმის ყოველთვის მარტო თავის-თვის არის, სხვა ათასში ერთხელ ასწავლის. ქალი კი, თუ თვითონ იცის წერა-კითხვა, უეჭველია ყველა თავის შვილებსაც ასწავლის.

სამწუხაროა, რომ ეს არ ესმის ზოგიერ ჩვენ ესრედ-წოდებულს განათლებულებსაც: „წერა-კითხვის საზოგადოების“ უკანასკნელ კრებაზედ ბ. აბდუშელიშვილმა სხვათა-შორის შემდეგი სიტყვა სთქვა:

„საზოგადოებამ ალბათ შიკასთვის „გარდაწყვიტა დ. ხონში საქალებო შკოლის გახსნაო.“

ამისთანები ბევრი არიან ჩვენში: ჯერ სავაჟო შკოლები უნდა გაიხსნას და მერე თუ შეძლება იქნება, საქალებოეო!..

ყველა ამ მოსაზრებით, ჩვენ ვეთანხმებით მკ. ბაბაშვილის მსჯელობას და ვამბობთ:

„საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ ძალიან კარგს იქმს, თუ თავის' უმთავრესს ყურადღებას ამ ჟამად საქალებო შკოლების გამართვას მიაქცევს.

---

## ფელტონი

—

### ორის წერილის თაობაზედ.

ჩვენ დავესწარით ოთხშაბათს, 4 ივნისს კავკასიის გეოგრაფიულ საზოგადოების სხდომაზედ და საღამოს ცხრა საათიდამ თორმეტის ნახევრამდე დიდის გულის-ყურით ვისმენდით თითქმის ყოველისფერს, რაზედაც იქ ლაპარაკი იყო.

წერილი უნდა წაეკითხად და ორი მათგანი შეეხებოდა ქართველის ტომის ხალხს: ერთი შედგენილი იყო მურგულის ხეობასა და მის მცხოვრებლებზედ (ოსმალეთის საქართველოში), მეორე ძველ კოლხელებზედ.

პირველი წერილი ისე მშვენიერად არის შედგენილი, ის დაწვრილებით გვაცნობებს იმ ხალხს და ალაგს, რომლის აღწერაც დამწერს განუზრახივს, რომ ჩვენ ვეცდებით თავის დროზედ ეს წერილი სიტყვა-სიტყვით გადმოვიღოთ ან „დროებისა“, ან „ივერიისთვის.“ მეორე წერილის შესახებ თითონ კრებაშივე იყო წარმოთქმული სურვილი, კარგი იქნება გაზეთებში დავაბეჭდვინოთ და მცოდნე პირები გამოვიწვიოთ იმ საგნების გამოსაკვლევათ, რომელნიც აქ არიან მოხსენებულნიო და ჩვენც ვეცდებით თავის დროზედ ეს სურვილი შევასრულოთ.

ვიდრე ამას შევიძლებდეთ, შევატყობინებთ მკითხველს მოკლედ ამ ორივე წერილების შინაარსს, შევატყობინებთ, რასაც ყური მოვჰკარით, რისაც დახსომება შევიძელით:

მურგულის ხეობა მდებარეობს ოსმალეთის საქართველოში, შავის ზღვის პირს. ამ ხეობაში ხალხი ძალიან ხშირათა სცხოვრობს და როგორც სახით, ისე სახლის გაწყობილობით, ენით სრულებით გურულებსა ჰგავს. შესანიშნავი ის არის, რომ თუმცა ეს ხეობა კარგათ დაშორებულია ჩვენს უწინდელს საზღვარს, ენა წმინდა ქართული აქვთ; მურგულელები ერთმანერთს რომ შეხვდებიან, ქართულად ესალმებიან: ოსმალეთის საქართველოს ბევრს სხვა ნაწილში „სალამ-ალექ“ ისმის, აქ კი „გამარჯვება.“ კაცები ოსმალურს მხოლოდ შემდეგში სწავლობენ, ქალებმა კი მთელი თავის სიცოცხლე ქართულის მეტი არ იციან. ჰავა მურგულში მშვენიერია; მრავალს ღრმა მოხუცებულს შეხვდება კაცი.

მდგომარეობა მურგულელებისა სრულებით გურულებისას წააგავს; იგივ სუფთა ხის სახლები, ხანდისხან ქვითკირისაც, იგივ ხენა-თესვა, იგივე მჭადი; სახლები ორ ეტაჟიანები აქვთ; ზემო ეტაჟი სტუმრებისთვის არის დანიშნული; ჭერი და კედლები ლამაზათ ჩუქურთმით არიან ამოჭრილები; ცალ მხარეს ბუხარი, ქალებისთვის ცალკე განყოფილება.

სახლთან წყალია გაყვანილი და ეს წყალი რწყავს სიმინდს, ბოსტანს, ბაღს, ბაყალოებს, რომელიც ბაღს გარშემო შემოხვევიან.

ბოსტანში უთესიათ: კომბოსტო, კარტოფილი, ბოლოკი, თამბაქო ბლომათ და სხვ.

ხეხილი მრავალია, მეტადრე ვაშლის ხე, რომელნიც ორსავე მხარეს არიან გზა-გზა ჩარიგებულნი. ვაშლი ორ-სამ გვარია, კარგათ ინახება; მიაქვთ გასასყიდლად ბათუმში და აქედამ იგზავნება ოდესაში და სხვა რუსეთის ქალაქებში.

ყურძენი ჩინებულია; ჰყიდიან ბათუმში და ძმარს აკეთებენ, ღვინო რომ გაკეთდეს, შეიძლება კარგი დადგეს.

თითქმის ყოველის სახლის ახლო არის საფუთკრე; თაფლსა და წმინდა სანთელსაც ბათუმში ჰყიდიან.

ტყეს ცოტასა სჩეხენ; ხმარობენ მხოლოდ ნავებისთვის, რომელნიც ჭოროხზედ დადიან. საკვირველს სიმარჯვეს იჩენენ მურგულელები ამ ნავების ტარებაში. ხამს მოგზაურს ჰგონია ეს არის ეხლა მიეჯახება წამოშვერილს კლდესაო, მაგრამ დაუახლოვდება თუ არა კლდეს, მენავე ერთს მტკაველზედ, უეცრად მოატრიალებს ნავსა და ერთს თვალის დახამხამებაზედ შუა წყალში შეაცურებს.

მეჩეთები ბევრია; მეჩეთებთან შკოლებიც არის, სადაც ყურანსა და ოსმალურს ენას ასწავლიან.

ადმინისტრაციას შეადგენენ კაიმაკამი მთავრობისაგან დადგენილი და მუდირი, ხალხისაგან ამორჩეული.

მრავალი მურგულელი ყმაწვილო-

მხოლოთ ერთი პატარა შენიშნვა გვაქვს მკ. ზაზაშვილისათვის: ჩვენის აზრით, ბათუმში ჯერ-ჯერობით საჭიროა მარტო სავაჟო კარგი შკოლა; მაჰმადიანებში, სადაც ქალი კაცს ისე ერიდება, როგორც ცეცხლს, შეუძლებელია ქალ-ვაჟისათვის საერთო შკოლის გამართვა.

ს. მ.

## ახალი ამბები

ამ უკანასკნელ კვირის განმავალობაში დღე ისე არ გაივლის, რომ ალექსანდროვის ბაღის კარებთან სამი-ოთხი ჩხუბი მაინც არ მოხდეს და რამდენიმე კაცი არ წაიყვანონ პოლიციაში. ამის მიზეზი არის შემდეგი: ბაღის ყველა კარებთან პოლიციის მოხელეები, დესეტნიკები დგანან და ჩოხიანებსა და განსაკუთრებით ჩუსტიანებს არავის უშვებენ ბაღში!

ვიკვირს—ვისი განკარგულებაა ეს ამ გვარი განკარგულება! ქალაქს ერთად-ერთი ბაღი აქვს, სადაც ამ ზაფხულში ხალხს ცოტა სულის მობრუნება შეუძლიან და ვერ გაგვიგია—რომელი კანონით, რა საფუძვლით უშლის პოლიცია ხალხს ამ ბაღში სიარულსა და სეირნობას!.. ნუ თუ ყველა, ვინც ბაღში გაივლის, უეჭველად უკანასკნელს მოდაზე ჩაცმული და გამოპრანჭული უნდა იყოს?!..

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ გვარი უაზრო განკარგულება უმაღლესის მთავრობისაგან არ არის, არამედ პოლიციის მომეტებულის ერთგულების შედეგია. დარწმუნებული ვართ აგრეთვე, რომ უმაღლესი მთავრობა, შეიტყობს თუ. არა ამ განკარგულებას, იმ წამსვე მოსპობს...

* * *

ოთხშაბათს, 4 ივნისს, წერა-კითხვის საზოგ. მმართველობას გარდაუწყვეტია:

გამართოს 1-ლს სეკტემბრისთვის უეჭველათ ორი შკოლა: ერთი თბილისში და მეორე ბათუმის მაზრაში. თბილისის მასწავლებელს დაუნიშნოს ჯამაგირათ სამოცი თუმანი და ბათუმისას ოთხმოცი; ამას გარდა ორივე მასწავლებელს მიეცეს სახლი და მოსამსახურე. ბათუმის მაზრაში გაიგზავნოს მმართველობის წევრი ნ. ცხვედაძე ადგილობრივ ცნობების შესაკრებათ.

დაუნიშნოს ჯამაგირი თვეში თუმანი ქართულის გალობის მასწავლებელს თხოვნისამებრ ქართულის გალობის კომიტეტისა; ეს გარდაწყვეტილება მმართველობას მოუხდენია იმ აზრით, რომ ქართულს სასოფლო შკოლებში გავრცელდეს ქართული გალობა გალობის კომიტეტის შემწეობით და ამით შესრულდეს ერთი უმთავრესი სურვილი მმართველობისა.

* * *

ჩვენ შევიტყვეთ, რომ კავკასიის სწავლა-განათლების გამგეს ბ. იანოვსკის სურვილი გამოუცხადებია, რომ ვინც კი კავკასიის საშუალო სასწავლებელში კურსს ათავებს, მაშინათვე ეთქვას აქვე, მიიღებენ იმას რომელსამე მაღალს სასწავლებელში თუ არა რომ რუსეთში ეგზამენების დაჭერა აღარ დასჭირდეს, თორემ ეხლა ბევრი ყმაწვილი კაცი ტყვილათ მიდის რუსეთში, ეგზამენს ვერ იჭერს, სცდება, ხარჯი მისდის და ტყუილათა ბრუნდება უკან. ამბობენ ეს სურვილი ბ. იანოვსკისა თუ სრულათ არა, ცოტათი მაინც შესრულებულა. მთავრობას გადაუწყვეტია, რომ რომელი ყმაწვილი-კაციც კი გაიგზავნება სახელმწიფო ხარჯით, ის უეგზამენოთ უნდა იყოს მიღებული მაღალს სასწავლებელში.

ამ ღონით, რასაკვირველია მთავრობა არას დაჰკარგავს ტყუილათ გაგზავნ-გამოგზავნაზედ, მაგრამ კარგი იქნებოდა, რომ კერძო პირთ ჯიბესთვისაც მიექციათ ყურადღება და ბ. იანოვსკის აზრი სრულებით მიეღოთ. ეს რომ ასე მომხდარიყო, მაშინ არც ერთს გიმნაზისტს ან სემინარისტს ტყუილათ აღარ დასჭირდებოდა რუსეთში წასვლა და აქვე ეცოდინებოდა გაეღო იმას უმაღლესი სასწავლებლის კარები, თუ არა.

* * *

ჩვენ გავიგეთ, რომ სტავროპოლის გუბერნიაში ხუნაგი (დიფტერიტი) სრულებით აღარ არისო. ეს ავათმყოფობა ამ გუბერნიაში ამას წინათ ძალიან იყო გავრცელებული.

* * *

„მოსკოვის უწყებები“ გვაცნობებენ რომ მთავარ - სამმართველოს კავკასიის მთავარ - მმართებლისას განუზრახავს ხალხის აღწერა ორს ახლათ შემოერთებულს — ბათუმისა და ყარსის მაზრაში იმ აზრით, რომ ხარჯი თანაბრათ გაიწეროს.

* * *

იგივე გაზეთი გვაცნობებს რომ მალე სუხუმში კანდელი (маякъ) იქნება გაახლებულიო და ამას გარდა პიჭვინთაში გაიმართება პირველი ხარისხის კანდელი.

ამ უკანასკნელს კანდელს თურმე დიდი მნიშვნელობა ექნება ზღვის გასანათებელათ და ბევრს უბედურებას ააცილებს ხომალდებს.

## წერილი რედაქტორთან

ამ თიბათვის პირველს, კვირას, დავესწარი „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კრებას. საზოგადოებას შეადგენდნენ ჩვეულებისამებრ, ჩვენი ყმაწვილი-კაცები, რომელნიც, თუ საქმით არა, სიტყვით მაინც მხურვალეთ ეკიდებიან საზოგადო საქმეებს. არც-ერთი ჩვენი ჩინებით და სხვა-და-სხვა ამ ქვეყნიერების ბედნიერებით შემკულნი არა სჩდნენ ზალაში.

საზოგადოების მმართველობის წლის ანგარიშის წაკითხვის შემდეგ გაიმართა გაცხარებული ბაასი სხვა-და-სხვა საგნებზედ. ბაასობდნენ იმაზედ, თუ რა საშუალება იხმაროს მმართველობამ, რომ უკეთ მოიხმაროს საზოგადოების შეწირული ფული და საზოგადოების აზრი და განზრახვა უკეთ შეასრულოს.

მე გამაკვირვა მხოლოთ იმან, რომ თორმეტიდგან დაწყებული თითქმის ხუთ საათამდე იყო ცხარე ბაასი საზოგადოების ფულის მოხმარებაზედ წერა-კითხვის გავრცელებისათვის და არავის იმაზედ ხმა არ ამოუღია, ეს ღვაწლი მარტო ვაჟების სასწავლებლებს და იმათ განათლებას უნდა ეკუთვნოდეს, თუ ქალებსაც უნდა ჰქონდეთ რაიმე მონაწილეობა.

მართლათაც და გასაკვირველია, როგორ ერთს ან საზოგადოების წევრს, ან საზოგადოების მმართველებს ფიქრათ არ მოუვიდათ ქალების ბედის გახსენებაც! ორიოდე სიტყვა ითქვა ხონში ქალების შკოლის გამართვაზედ მაგრამ ეს სიტყვები ისე საჩქაროთ იყვნენ ჩაფარცხულნი, თითქო ეს მომეტებული საგანი ყოფილიყოს საზოგადოების არსებითი აზრისათვის. როგორ დავიჯეროთ, რომ ჩვენი წერა-კითხვის საზოგადოების მმართველნი საჭიროდ არა რაცხდენ ქალებისთვის ზრუნვას?

თუ ადრე არ არის, რისგან მოხდა, რომ არც ერთი სიტყვა, არც ერთი

---

ბიდგანვე მსახურათ მიდის სტამბოლში და სხვა ოსმალეთის ქალაქებში ფაშებთან, აგროვებს ფულსა, შემდეგ ბრუნდება თავის ქვეყანაში და ცდილობს ამ ფულით თვისი ყოფა-ცხოვრება გაიუმჯობესოს.

მურღულელები, როგორც მთელის ოსმალეთის საქართველოს ხალხი, არიან მარჯვენი, ცოცხალნი, ოხუნჯნი, უყვართ ყველაფერი გაიგონ, ყველაფერს თვალი ადევნონ; მათთან ლაპარაკი სასიამოვნოა.

უყვართ პირში თქმა, კაცს არ დაერიდებიან; ამის დასამტკიცებლათ ავტორი, აბ. ლევაშოვი ამბობს, მე თუმცა რუსის შტაბის აფიცერი ვარ და ოფიციალურათ ვმოგზაურობდი, მაგრამ როცა ერთს მურღულელთან მქონდა რუს-ოსმალოს ომზედ ლაპარაკი, ამაყათ მიპასუხა: „თუ ომი მოხდა, ჩვენ მუსულმანები ვართ და რუსებს ვერ მივემხრობით ოსმალეთს უნდა მივცეთ მხარიო.“

* * *

მეორე საინტერესო წერილი იყო გარდაცვალებულის მეცნიერის უსლარისა, რომელმაც ზედმიწევნით შეისწავლა სხვა-და-სხვა კავკასიის ენა.

ეს წერილი წაიკითხა ბ. ზეიდლიცმა.

უსლარი ამბობს, ისტორიიდამ სჩანს, რომ, როდესაც საბერძნეთში განათლება ჯერ ძლივს იყო ჩასახული კოლხიდა ძალიან მაღლა იდგა განათლების მხრივაო. კოლხელები, მართალია, აღარ არიან, მაგრამ მათი კვალი კავკასიაში უნდა იყოს ჩარჩენილი და თუ მეგრულს ენას ქართულს შევადარებთ და იმ სიტყვებს ცალკე გადავარჩევთ მეგრულიდამ, რომელნიც ქართულს არ ემზგავსებიან, კოლხურის ენის სიტყვები შეგვრჩება ხელშიო. ამ აზრით კარგი იქნებოდა, რომ მეგრული სიტყვები ბევრი შეიკრიბოს და ეს ყველა წერა-კითხვის მცოდნე მეგრელს შეუძლიანო.

* * *

გარდა ამ შესანიშნავის და სრულის ყურადღების ღირსის წერილებისა იყო კიდევ ორიოდე მოხსენება ამ კრებაში.

ილაპარაკა ერთმა დირექტორმა, რომელიც ყოფილა ახალ-თეკეში და რომელსაც სურვილი ჰქონია რაღაც ცნობების შეკრეფისა.

შეკრიფა იმან ეს ცნობები თუ არა, არ ვიცით; იმის ლაპარაკიდან ჩვენ ვერა გავიგეთ-რა; მხოლოთ ორი თეკინელის თავი ვნახეთ, რომელნიც ლანგრებით შემოიტანეს და კრებას დაუწყვეს წინ.

* * *

ბოლოს დროს ბ. ხატისოვმა ილაპარაკა: ყინულზედ, რომელიც უწინ ყოველს შვიდმეტს წელიწადში ერთხელ ჩამოწვებოდა ხოლმე, თერგს აგუბებდა და რამდენსამე ხანს აჩერებდა მოგზაურობას დარიალის გზაზედ; 1830 წელს აქეთ ეს ყინული აღარ ჩამოწოლილა. უკანასკნელის ომის დროს მოელოდნენ ამ ყინულსა ჩამოწოლას და დანიშნეს კომისია ადგილობრივ გასაშინჯათ; ამ კომისიის წევრათ ყოფილიყო ბ. ხატისოვიც; კომისიას მართალია, არა გაუკეთებიარა, მაგრამ ბ. ხატისოვი თხოულობდა ხელ-ახლავ მეორე კომისიის დანიშვნას, მაგრამ ბ. პალიბინი კი ამტკიცებდა კომისიები ვერაფერს აკეთებენ, სჯობს ყველაფერი რაც ვიცით ამ ყინულის ჩამოწოლაზედ დავბეჭდოთ უნივერსიტეტებში, აკადემიებში გავგზავნოთ და მრავალი მსურველი გამოჩნდება, თავის ხარჯზედ გამოიკვლიოს ამ ყინულის ამბავიო.

რომელი მტყუანია, რომელი მართალი, ძნელია კაცმა სთქვას; ამის შესატყობათ საჭიროა კაცმა იცოდეს, რაც საზოგადოების კულისებს იქითა ხდება.

მანეთი არ იყო შეწირული ქართველ ქალებისთვის და არც მომავალი წლისთვის იქნება? განა ცუდი იქნებოდა, როგორც ბათუმისა და თბილისის შკოლებზე ლაპარაკობდნენ, ესეც გადაეწყვიტნათ, რომ ეს შკოლები საქალ-ვაჟო შკოლებათ ყოფილიყვნენ?

მართალია, ჩვენ სასოფლო შკოლებში ქალებიც სწავლობენ, მაგრამ ეს სრულიად მასწავლებლებზეა დამოკიდებული: თუ სურვილი აქვთ, ქალებსაც ასწავლიან, თუ არა და არა. რათ არის ასე? რატომ ყველა შკოლები ვალდებულნი არ არიან ერთნაირათ მიიღონ მსურველნი ვაჟებიცა და ქალებიც? რატომ პედაგოგიურს კურსებზე ქალებიც არ უნდა იყვნენ მიღებულნი? განა ჩვენში ცოტა ქალები არიან, რომელნიც დიდის სიამოვნებით იკისრებდნენ სასოფლო შკოლების მასწავლებლობას, ამ საქმისთვის სპეციალური მომზადება რომ ჰქონდეთ? განა არ მოგეხსენებათ, რომ ევროპაში და მომეტებულათ ამერიკაში საუკეთესო და მომეტებული რიცხვი მასწავლებლებისა ქალები არიან? რატომ ჩვენც არ უნდა გამოვცადოთ? თქვენ თითონვე არ ამბობთ ჩვენს კაცებში იშვიათად იპოვნით რიგიანს მასწავლებელსაო? ნუ თუ ჩვენი წერა-კითხვის საზოგადოება უადგილოთა სახავს ქალების განათლებას **საერთო სიკეთისთვის** საქართველოში? მე კი ჩემის აზრით ქალებისთვის უფრო საჭიროთ ვხედავ ქართულის ენის ცოდნას, ამიტომ რომ ქალი არის პირველი მასწავლებელი შვილებისა; ყმაწვილს თუ ბავშობიდგანვე სიყვარული არა აქვს სწავლისა და თავის დედა-ენისა, ის შემდეგშიაც ძნელათ შეითვისებს იმას; და თუ ჩვენმა წერა-კითხვის საზოგადოებამ ქართველი ქალების აღზრდა მარტო ინსტიტუტსა და ზავედენიებს მიანება, სადაც ქალებს სრულიად არა აქვთ ღონის-ძიება, პრაქტიკის უქონლობის გამო, ქართულის ენის შესწავლისა, იმასაც ჩქარა მოვესწრობით, რომ ჩვენ ბავშვებს, დედების მოწყალებით, სასარცხვილოდ მიაჩნდებათ თავის დედა-ენაზედ ლაპარაკი.

ამის მაგალითები ეხლაც ბევრია ჩვენში; მე მგონია ამაზედ ბევრი დამემოწმება.

წასრულის კვირის კრებაში ვიყავით რამდენიმე ქალი და ვერც ერთმა ჩვენთაგანმა ვერ მოვახერხეთ ხმის ამოღება ქალების გამოსასარჩლებლათ. რატომ? იმიტომ, რომ შევკრთით, ვერ გავბედეთ ხმა-მაღლა გამოგვეთქვა ჩვენი აზრი; არა ვართ ქალები შეჩვეული საზოგადო საქმეებში მონაწილეობის მიღებას.

იმედი გვაქვს, „საქართველოში წერა-კითხვის საზოგადოება," მიიღებს მხედველობაში ამ აზრს და შემდეგისთვის მისცემს ღონის-ძიებას ქართველ ქალებს თავის დედა-ენის შესწავლისას; ვგონებთ, საქმითაც მალე გამოჩნდეს, რომ ეს საზოგადოების ზრუნვა, უსარგებლოთ არ ჩაივლის.

ეკ. გაბაშვილისა.

## „წერა-კითხვის საზოგადოების" წლიური საზოგადო კრება

1 ივნისს.

(გაგრძელება *)

**გ. თუმანიშვილი:** ჩვენი საზოგადოების მმართველობამ მოჰკიდა ხელი ბევრ ძნელ საქმეს. იმას აქვს მხედველობაში ახალი შკოლების გახსნა, გამართულის შკოლების დახმარება, ბიბლიოთეკის შედგენა (ძველ და ახალ წიგნებისაგან). წიგნებისა და სამასწავლებლო ნივთების დეპოს დაარსება, პედაგოგიურ კურსების გამართვა, საყმაწვილო წიგნების შედგენა, სტიპენდიების დანიშვნა სამასწავლებლო სემინარიის შეგირდებისათვის და სხვ. და სხვ.

„ყველა ამ საქმის ასრულებისათვის საზოგადოებას აქვს 12,000 მან. თავნი და 2,000—3,000 ყოველ' წლიური შემოსავალი. ამ მცირე ფულით და იმ შრომით, რომელიც შეგვიძლიან შევწიროთ ჩვენ საზოგადო საქმეს გაკეთდება ერთი ამ საქმეთაგანი და არა ყველა ერთად. მაგალ. ავიღოთ ახალ შკოლების გახსნა: თუ მივიღეთ მხედველობაში, რომ მასწავლებლების და სამასწავლებლო ნივთების შოვნა ჩვენში ადვილი არ არის, და თუ გავხსენით სამი ოთხი შკოლა, ჩვენის შემოსავლიდამ სხვა საგნებისათვის აღარაფერი დარჩება, რადგან ამ საგანს ყოველ წელს 3,000 მან. და მეტიც მოუნდება.

შრომაც იმდენი გვექნება. რომ სხვას ველარას ვადევნებთ თვალ-ყურს, რადგან ბევრი მიწერ-მოწერა და კაცების გაგზავნ-გამოგზავნა მოგვინდება, რომ გავიგოთ რომელი ადგილი უფრო საჭიროებს ახალ შკოლების გახსნაში და რადგან ამ შკოლების კონტროლიც ცოტა დროს არ წაგვართმევს, თუ ბევრად არ დავფიქრდით შკოლისათვის ალაგის ამორჩევაზე, ჩვენ ისეთვე შეცდომებს მოვახდენთ, როგორც მოახდინა მმართველობამ. იმან გადასწყვიტა შკოლების გახსნა თფილისში, რუისში, და ძავთიხევში. ე. ი. იმ ადგილებში, სადაც ყველაზე ნაკლებ საჭიროებენ ჩვენს დახმარებაში და ღარიბი სოფლები კი დააგდო უყურადღებოთ.

„ავიღოთ ეხლა სხვა საქმე: წიგნების და სამოსწავლო დეპოს გამართვა. ეს საქმე პირველ დროს, როგორც გვარწმუნებენ, მოითხოვს 6,000 მან. მერეც საჭირო იქნება ფული ახალ წიგნების და ნივთების ყოველ-წლიურ საყიდლათ; ამ ვაჭრულ საქმეშიაც საჭიროა ბეჯითი კონტროლი და ბევრი წვრილმანი ვაჭრული ფუსფუსი პირველ მოწყობის დროს. ამგვარათ ეს საგანიც იმდენ ფულს და შრომას მოითხოვს, რომ იმას თუ მივყევით ხელი, სხვებისათვის არც ფული გვექნება და არც დრო.

„სხვა საგნებს არ გავარჩევ. სხვა საგნებიც ადვილი საგნები არ არიან, და ყოველი იმათგანი ღირსია ჩვენი განსაკუთრებით ყურადღებისა. ყველაფერი გამოუდგეთ, ვერაფერს გავაკეთებთ. ისევ სჯობია ერთი საქმე ავირჩიოთ, და რიგიანად მოვიყვანოთ ის სისრულეში. მაგრამ რა საქმე ამოვირჩიოთ? რაა ჩვენთვის უფრო აუცილებლად საჭირო? რის ასრულება შეგვიძლიან ჩვენ უკეთ?

„ახალ შკოლების გახსნა, როგორც თვითონ მმართველობა ამბობს, ძლიერ ძნელია, რადგან არც რიგიანი მასწავლებლები გვყავს, არც სასწავლო წიგნები, არც ვიცით, რომელი ადგილი რა შკოლაში უფრო საჭიროებს, და სხვა ჩვენგან დაუმოკიდებელი გარემოებაც დაგვიშლის ამ საქმეს.

„წიგნების და სამოსწავლო ნივთების დეპოს გახსნაც ძრიელ ძნელია და არც დანარჩენს საგნებისაებ საჭიროა. ძნელია იმიტომ რომ ეს წმინდა ვაჭრული საქმეა და ჩვენ კი ვაჭრული გამოცდილება არა გვაქვს. საქმის წაგება ათას წილათ უფრო ადვილია, ვინემ მოგება. ძველ ხელნაწერების და ახალ წიგნების მოგროვება მოსაწონი საქმეა. მხოლოდ ის პირ-და-პირ არ შეეხება ჩვენს საზოგადოების დანიშნულებას. ჩვენ თუ ამ უთვალავ და ძნელ საშოვნს წიგნების უკან სიარულს მოვუნდით, ამით ჩვენი ხალხი წერა-კითხვას ვერ ისწავლის.

„პედაგოგიურ კურსების გამართვა ჯერ-ჯერობით შეუძლებელია. ქართულ ენაზე მკითხველი ლექტორი ჩვენ არა გვყავს; არც ვარგა თავის თავის გამოცდა კითხვაში კურსებზე, რომლებზედაც უნდა ესმოდეთ მომავალ მასწავლებლებს სამაგალითო ქართული ენა. თუ იმედი არა გვაქვს, ამ კურსებზე სწავლის სამაგალითოთ წაყვანისა, ნუ გავმართავთ ამ კურსებს, დავეხმაროთ სამასწავლებლო სემინარიებს.

„გამართულ შკოლების დახმარებაც ძნელია, რადგან არ ვიცით დარწმუნებით, სად რა არის საჭირო. თუ ვენდეთ უცნობ პირების თხოვნას, ბევრი უსამართლობა გამოვა. უფრო მდიდარს უყვარს ხშირად თხოვნა, ვინემ ღარიბს.

„დაგვრჩა საყმაწვილო და სახალხო წიგნების შედგენა. ეს, ჩემის აზრით, აუცილებლად საჩქაროდ საჭირო საგანია, რადგან შკოლები გვაქვს, მასწავლებლები გვყავს და სასწავლო წიგნები კი არა გვაქვს ქართულ ენაზე. სახალხო წიგნებიც არა გვაქვს. შკოლიდამ გამოდის ყმაწვილი და ივიწყებს თვით წერა-კითხვასაც, რადგან საკითხავი წიგნები ვერ უშოვნია. სხვა-და-სხვა უაზრო არაკებს—დაბეჭდილ „დავრიშიანებს" და „ყარამანიანებს" ვერ ჩავთვლით სახალხო წიგნებათ. ამ საქმის წაყვანაც ჩვენთვის ძნელი არ არის. ჩვენ გვყავს ორიოდე კარგი მცოდნე სახალხო პოეზიისა და სახალხო ენისა, ორიოდ ნიჭიერი მწერალი, ორიოდ მცოდნე ევროპიულ საყმაწვილო და სახალხო ლიტერატურისა. შევაერთოთ ამათი შრომა, დავაჯილდოვოთ ისინი და დაიბადება სასურველი მწერლობა.

„მაშ ესე, ყველაზე მეტად ყურადღება უნდა მივაქციოთ სასწავლო და სახალხო წიგნების შედგენას. ამ საგნისათვის რამდენიმე ჯილდოა დანიშნული მმართველობისაგან, იმდენივე ფული კიდევ საჭიროა გადავდოთ. ამის გარდა, თუმც ახალ შკოლების გახსნაზე უარი უნდა თქვას მმართველობამ, მაგრამ ბათუმის შესახებ კი ეს უარი უადგილო იქნება, რადგან ამ მაზრაში 200,000 ქართველს არც ერთი შკოლა არა აქვს.

„ამ ორ საგანზე მმართველობას მოუნდება 3,000 მანეთამდე. რაკი სტიპენდიებიც დავპირდით გორის სამასწავლებლო სემინარიის შეგირდებს, ამაზედაც 650 მანეთი დაგვჭირდება და არც დაგვეკარგება ეს ფული. როდისმე გავმდიდრდებით, საზოგადოებას თავის შკოლები ექნება და თავის სტიპენდიანტებს დანიშნავს იქ მასწავლებლებათ.

ამ გვარად, ჩემის აზრით, მმართველობას უნდა მისცეს საზოგადოებამ ნება ზემოხსენებულ საგნებზე 3,650 მანეთის დახარჯვისა. ამის გამო თავნიც ხელ-უხლებელი დაგვრჩება და საქმესაც უფრო საფუძვლიანად მოვეკიდებით.

„მე ჩემ ანგარიშში არა ვთვლი 600 მან.—სეკრეტრის ჯამაგირს და 150 მ.—კანცელიარიისათვის სახლის ქირას, რადგან ჩვენში, როგორც სხვა ქველმომქმედ საზოგადოებაში, სეკრეტარმა უჯილდოთ უნდა იმსახუროს. იმას ძრიელ ცოტა საქმე აქვს, თვეში ერთს ან ორს პატარა პროტოკოლს დასწერს და მიწერ-მოწერაც ბევრი არ ექნება. მმართველობის ყოველ წევრის ვალია ეს მცირე შრომა იკისროს უსასყიდლოთ. კანცელარიისთვის ცალკე ოთახის დაქირავება საჭირო არ არის, რადგან იმას აქვს სულ ორმოციოდ წიგნი და მმართველობის სხდომებისათვისაც მეტია, რადგან ეს სხდომები თვეში ერთხელ-ორჯერ იმართება, სულ ოთხი ან ხუთი კაცი შეიყრება; ეს სხდომები კერძო სახლშიაც ადვილად მოსახერხებელია.

„აქ მე საზოგადოებას წარმოუდგინე ჩემი პროგრამმა, იმიტომ რომ მე არ ვეთანხმები მმართველობის დანარჩენ წევრების საერთო პროგრამმას."

**იაკობ გოგებაშვილი.** მე მაკვირვებს გ. გ. თუმანიშვილის ქცევა: თუ იგი არ ეთანხმებოდა მმართველობის მოქმედებას, რატომ მმართველობასვე არ უცხადებდა ამას, რატომ არ წარუდგინა თავის მოსაზრება, რატომ წინადადება არ შემოიტანა, რომ მმართველობას განეხილა იგი და მხედველობაში მიეღო?

**გ. თუმანიშვილი.** მე რამდენიმეჯერ პირადად მითქვამს მმართველობის წევრებისათვის ყველაფერი რაც აქ წარმოვსთქვი.....

**დავით აბდუშელიშვილი.** ბატონო

*) „დროება" № 118.

თავმჯდომარე ორიოდე სიტყვა მათქმევინეთ თუ შეიძლებოდეს რუსულად...

**საზოგადოებიდამ ხმები:** ზოგიერთებს არ გვესმის რუსული, ვერ გავიგებთ, თუ ქართველი ხარ, ქართულად ილაპარაკე!

**თავმჯდომარე.** რადგანც ზოგიერთებს არ ესმისთ რუსული, ვერ მოგცემთ რუსულად ლაპარაკის ნებას. თუ ვინმე იკისრებს თარჯიმნობას...

**აკაკი წერეთელი** ჰკისრულობს თარგმნას...

**თავმჯდომარე.** ბატონო აბდუშელო, ბრძანეთ!

**დ. აბდუშელიშვილი.** (იწყებს ქართულად. **საზოგადოებიდამ მრავალი ხმა:** აღარ შეიძლება, ახლა რუსულად სთქვით, გადაგვითარგმნიან! აბდუშელი ამბობს რუსულად). მე ვეთანხმები ბ. გ. თუმანიშვილის მოსაზრებას, მაგრამ მაინც მეტი არ იქნება კვალში ჩავუდგეთ საზოგადოების ანგარიშს და მუხლით-მუხლამდე განვიხილოთ ივი. სასწავლებელი წიგნების ერთობ მცირე რიცხვი გაუგზავნია სასწავლებელთათვის მმართველობას ასე რომ თითო შაგირდს ერთი კაპეიკის წიგნიც არ მიუწევს...

**ივ. მაჩაბელი.** თქვენ საოცრად ანგარიშობთ! ერთი ჩვენც გაგვაგებინეთ, რა რიგად ხვდება თითო შაგირდს ერთი კაპეიკის სახელმძღვანელო წიგნი...

**დ. აბდუშელი.** აი როგორ: მმართველობას დაურიგებია 19 მან. წიგნები. გავყოთ ეს 113 შკოლებზე, რომელნიც ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებშია... (სიცილი საზოგადოებაში).

**დ. აბდუშელი.** ჩემის აზრით, უკეთესი იქმნება, რომ სტიპენდიანტების მაგიერად, რომელთაც შეიძლება გააცუდონ საზოგადოების იმედები, და ზოგმა მათგანმა იქნება არც ისურვოს სწავლის გათავების შემდეგ საზოგადოებას ემსახუროს, და ძალით რომ ამსახურონ, ეს ხომ შეუძლებელია,— ვიმეორებ ამ სტიპენდიატების ყოლას ის ემჯობინება, რომ საზოგადოებამ მოიწვიოს თავის შკოლებისათვის სემინარიაში კურს შესრულებულნი ყმაწვილ-კაცები, და თუ ისინი ხაზინის ხარჯზე იზრდებოდნენ, მაშინ საშუალება მისცეს იმათ თავის გამოსყიდვისათვის. სასურველია, რომ საზოგადოებამ უფრო იმისთანა შორეულ ადგილებში დახსნას შკოლები, როგორნიც არიან მაგ. სვანეთი, რაჭა, ლეჩხუმი და შორაპნის აღმოსავლეთი ნაწილი. მმართველობას სურვილად ჰქონებია ხონში საქალებო შკოლის გახსნა. ამას უფრო შიკობისათვის აპირებს მგონი, ვიდრე საჭიროებისათვის: ჯერ საკმაოდ ვაჟების შკოლა არ გვაქვს და უნდა ქალებისაც გახსნას? ხონს, როგორც ქუთაისზე ახლო ადგილს ისეც შეუძლია აღზრდის საშუალება მოიპოვოს. არ შემიძლია უყურადღებოთ დავსტოვო ის გასაოცარი შემთხვევა, რომ მმართველობას $^2/_3$ უფრო ბევრი დაუხარჯავს თავის მიზნის მისაღწევ საშუალებაზე, ვიდრე თვითონ მიზნისათვის.

(შემდეგი იქნება)

# განცხადებანი

### შეკოლადი და კაკაო

ჩრეი და შვილები, რომლებმაც პარიჟში გამოფენის დროს ოქროს მენდალი დაიმსახურეს, როგორც იქნა ბოლოს მიღებულ იქმნენ ინგლისის მაღაზიაში. იქვე მიიღეს აგრეთვე მრავალი ჩაი.

(10—1)

### შ ე ნ ი შ ვ ნ ა

**რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი.**

**თმის გასამაგრებელი**

**მაკ - მასტერი**

**ერთობ ბევრი ისყიდება, ამის გამო ინგლისის მაღაზიაში ეს წამალი ახლა 2 მანეთად ღირს.**

(100—1)

მაქვს პატივი ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას, რომ **ნოქალაქევის სამკურნალო წყლები** უწყებული თვისის მკურნალეობითა აღწერილობისა-მებრ დოკტორის პლეშკოვსკისა და სხვა ცნობაებით, რომელიც იმყოფება ქუთაისის გუბერნიაში სენაკის მაზრაში სოფელს ნოქალაქევს, 18 ვერსტზედ დაბა ახალ-სენაკიდამ (სტანცია რკინის გზისა) უკანასკნელის 20 წლის განმავალობაში იყო მივარდნილი, უპატრონოთ მიტოვებული, ახლა კი ეს წყლები ჩემს განკარგულებაში არის საიჯარადროდ და კიდევაც მოყვანილია მადნის წყალი სრულს წესიერებაშიდ. ეს სამკურნალო წყალი სხვა წყლებთაგან განყოფილია და აყვანილია მიწის საშუალობით 10 არშინზედ და გაშენებულია აუზები (ვანნები).

მსურველთ შეუძლიანთ ისარგებლონ აღნიშნულის წყლებით ფრიად ზომიერის ფასით და მრთელის ჰაერით, რომლითაც გამოჩენილია ნოქალაქევი.

მეორე გილდის ვაჭარი

ივანე ლაზარის ძე გვიშიანი.

(შ.) (12—8)

# კანტორა

### ოდესსის ვაჭრის

# გრ. ზალინოვისა

**(ადრესი: ოდესსა, ალექსანდროვის პროსპექტი, ფიშერის სახლი)**

**ჰყიდულობს და ჰყიდის, კომმისიით, ყოველ გვარ საქონელს.**

**აგენტურა სხვა-და-სხვა საქონლის გასასაღებლად.**

**წარმომადგენელია** რუსის და საზღვარ გარეთის ფაბრიკებისა, ქარხნებისა და სავაჭრო სახლებისა.

**აქვე ნარდათ ჰყიდის და ჰყიდულობს, გრეთვე კამისიის ფქვილს, საწვრიმალო და კოლონიალურ საქონელს.**

(30—11)

დაიბეჭდა და ისყიდება VI ტომი

### „ცნობათა კრებისა კავკაზიაზედ“

გამოცემა კავკასიის სტატისტიკოს კომიტეტისა.

ამ წიგნის შინაარსია:

„თბილისის ერთ-დღიური აღწერა 25 მარტს 1876 წ.“

სულ არის 570 გვერდი *in* 4, 19-ს დამატებით, სახელდობრ:

1) 15 ლიტოგრაფიული დახაზული ტაბლიცები.

2) 2 პლანი თბილისისა შარდენსა 1671 წ.) და ტურნეფორისა (1701 წ.)

3) კოპიო თბილისის პლანისა შედგენილი მეფის ძის ვახუშტისაგან.

4) ეხლანდელის თბილისის პლანი.

ეს წიგნი ისყიდება შემდეგ წიგნების მაღაზიაში: ბერენშტამთან, კავკაზიის წიგნის სავაჭროში, ცენტრალურს წიგნის სავაჭროში. ფასი 4 მანეთი. ვისაც დაბარება სურს ფოჩტით, ხუთი გირვანქის გაგზავნის ფასი გამოგზავნოს.

(4—3)

**იაგორ კასუმოვის** და კამპ. კანტორაში ისყიდება დაბეჭდილი კონტრაქტები (პირობა) სახლის, დუქნების, მაღაზიების, ცარიელ ადგილების და სხ. ქირაობაზედ.

თითო ამ გვარი კანტრაქტის ფურცელი ღირს **შაურად.**

(10—5)

### ახლანდელ დიდს

# გამოფენის

### დროს,

**ოლეოგრაფიული სურათები იყიდება 20% დაკლებით, მაკ-ინტოშები (მოსასხურავები) 6 მანეთიდამ 20-მდე; შრთქები მოსაფხეკებითურთ თითო 75 კ.; შეკვეთილია შეფფილდში განსაკუთრებით ინგლისურ მაღაზიისთვის საუკეთესო სამართებლები, რწყვილა ბუდეებით ღირს 4 მან.; შეფფილდის დანები ჩანგლებიანათ დუჟინი 2 მ. 75 კაპეიკიდამ 20-მანეთამდე. ჩაინიკები ბრიტანიის მეტალისაგან 30 კაპეიკიდამ 3 მანეთამდე; ციტრატ-მაგნეზია, ოსმალოს შარბათი და სამწყურალო კვერების ბანქა 70 კ.; საუკეთესო პორტ-ვეინი და ხერესი 1 მ. 40 კ. ბოთლი, და შამპანიის ღვინო ბოთლი 3 მან. და სხვ. ინგლისურს მაღაზიაში.**

(40—19)

### კ ო ჯ ო რ შ ი

**გასაქირავებელია** ორი აგარაკი (დაჩა) 5 ოთახიანი სამზარეულოთი და ყოველ-გვარ მოწყობილებით, და **ორი ოთახი** სამზარეულოთი, საყდრის პირ-და-პირ, წყაროთი.

აქვე ჰქირავდება **სამი დუქანი.**

**ფასი** იკითხეთ ბოლდანოვის სარდაფში, გალავინის პროსპექტზე, შიოევის სახლში.

(3—2)

### კვირაცხოვლისა და შემდეგის კვირის განმავალობაში

# ინგლისის მაღაზიაში

### 20% უფრო იაფად

**გაისყიდება სხვა-და-სხვა ინგლისის საქონელი.**

(10—9)

**პარუსინა**, ბუმაზეია, ტრიკო, დრაპი, ხავერდი მებელისა და ფაეტონებისათვის, უნაგირები, ფოჩტის ქაღალდი და სხვ. 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე, ისყიდება **ინგლისის მაღაზიაში.**

**მურაბა** გემრიელი, კანფეტიბი, ყველი, მაგნეზია შერბეთი წყურვილისათვის, ჭურჭლეული, ჩაინიკები, გრაფინები და სხვ. და სხვ. 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე, ისყიდება **ინგლისის მაღაზიაში.**

**კარბოლის** პარაშოკი, კარბოლის წყალი და საპონი გადამდებ ავათმყოფობისათვის, მზის საათები დროების საჩვენებლად—ფასი 1 მან.—**ინგლისის მაღაზიაში.**

(40—3)

### მთავარი კანტორა

### სავაჭრო სახლის

# იაგორ კასუმოვი და ამხ

უცხადებს საზოგადოებას, რომ ვისაც სურს იყიდოს **პირველი და მეორე, შინაგანი სესხის მოგებიანი ბილეთები** შეუძლიან მიმართოს ამ კანტორაში, სადაც ეს ბილეთები ისყიდება ძალიან კარგის პირობებით, მთელის წლის განმავალობაში ნაწილ-ნაწილად ფულის შემოტანით.

კანტორა თვითონაც ჰყიდულობს აგრეთვე ზემოხსენებულ შინაგან სესხის მოგებიან ბილეთებს.

უფრო დაწვრილებითი პირობების შეტყობა მსურველს შეუძლიან სავაჭრო სახლის კანტორაში, ბაღის პირ-და-პირ, თუმანოვის სახლებში.

(10—10)

Дозволено цензурою. Тифлисъ 6 Іюня 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი